პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

სახელმძღვანელო რეკომენდაცია

მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების შესახებ



www.pdps.ge

სახელმძღვანელო რეკომენდაცია ემსახურება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა განმარტებას, საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობას, ის არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, არის სარეკომენდაციო ხასიათის და არ წარმოშობს დამატებით უფლებებსა და ვალდებულებებს.

შინაარსი

შესავალი 3

1. მონაცემთა წვდომის უფლების შინაარსი და მიმართება მონაცემთა სუბიექტის სხვა უფლებებთან 3
2. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება 6
3. მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება 11
4. საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლების შეზღუდვა 14
5. მონაცემთა სუბიექტის უფლების დაცვის საშუალებები 16
6. ზოგადი რეკომენდაციები.....19

შესავალი

საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომას და მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღებას მონაცემთა სუბიექტისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ წვდომის უფლება მონაცემთა სუბიექტის ერთ-ერთი უფლებაა და არსებითი მნიშვნელობის მქონეა პერსონალურ მონაცემთა სათანადო დაცვისას. მას არამხოლოდ სამართლებრივი დაცვის ფუნქცია აქვს, არამედ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კონტროლის შესაძლებლობასაც წარმოადგენს.

პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებაში გამორჩეული როლი აქვს თითოეულ მონაცემთა სუბიექტს.[1] ამიტომ, მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელების ხელშეწყობა, ასევე, ფიზიკური პირის ინფორმირებასთან დაკავშირებული ქმედითი მექანიზმების დანერგვა და მათი ეფექტიანი გამოყენება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს.[2] აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13, მე-14, 24-ე და 25-ე მუხლები ასახავს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-13, მე-14 და მე-15 მუხლების მოთხოვნებს.[3]

წინამდებარე სახელმძღვანელო რეკომენდაცია მიზნად ისახავს მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების და მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების თაობაზე მონაცემთა სუბიექტის უფლებების არსისა და საკანონმდებლო მოთხოვნების პრაქტიკულ ახსნას მონაცემთა სუბიექტების, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის.

1. მონაცემთა წვდომის უფლების შინაარსი და მიმართება მონაცემთა სუბიექტის სხვა უფლებებთან

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე და 25-ე მუხლები განსაზღვრავს დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულებას, თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან ხორციელდება ან პირიქით. მონაცემების უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან შეგროვებისას,

[1] მონაცემთა სუბიექტის უფლებები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სახელმძღვანელო რეკომენდაციები მცირე და საშუალო ზომის მეწარმე სუბიექტებისათვის, 2024, 12-21.
[2] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 33-34.
[3] EDPB, Guidelines 01/2022 on data subject rights - Right of access, Version 2.1, Adopted on 28/03/2023.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა შეგროვებამდე ან შეგროვების დაწყებისთანავე მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, მისი წარმომადგენლის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია;
- მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;
- მონაცემთა მიწოდების სავალდებულოობის შესახებ, ხოლო თუ მონაცემთა მიწოდება სავალდებულოა – მონაცემთა მიწოდებაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგების თაობაზე, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მონაცემთა შეგროვება/მოპოვება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების დასადებად (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში);
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების შესახებ, თუ მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად (მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
- მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მონაცემთა დაგეგმილი გადაცემისა და მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის შესახებ, მათ შორის, მონაცემთა გადაცემაზე ნებართვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი გეგმავს მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემას;
- მონაცემთა შენახვის ვადის შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ.[4]

[4] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავით გათვალისწინებული უფლებებია:

მონაცემთა სუბიექტის უფლების კატეგორია	**ნორმატიული საფუძველი**
მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება	მე-13 მუხლი
მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება	მე-14 მუხლი
მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება	მე-15 მუხლი
მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება	მე-16 მუხლი
მონაცემთა დაბლოკვის უფლება	მე-17 მუხლი
მონაცემთა გადატანის (პორტირების) უფლება	მე-18 მუხლი
ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული უფლებები	მე-19 მუხლი
თანხმობის გამოხმობის უფლება	მე-20 მუხლი
გასაჩივრების უფლება	22-ე მუხლი

თითოეულ უფლებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც უზრუნველყოფს ამ უფლებების ერთმანეთისგან განსხვავებას. თუ მონაცემების შეგროვება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან არ ხდება, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს კანონით განსაზღვრული ინფორმაცია, აგრეთვე, აცნობოს, მის შესახებ თუ რომელი მონაცემები მუშავდება და ამ მონაცემთა მოპოვების წყარო, მოპოვებული იქნა თუ არა მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან.[5]

მონაცემთა სუბიექტის უფლება, ჰქონდეს წვდომა საკუთარ მონაცემებზე, ემსახურება მის ინფორმირებას მონაცემთა დამუშავების პროცესზე. მონაცემებზე წვდომის უფლება აუცილებელია მონაცემების წაშლის, დაბლოკვისა და განახლების უფლებათა განსახორციელებლად. საკანონმდებლო ჩარჩო ერთიანად და სისტემურად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირებულობას, მისი უფლებების დაცვის მიზნით.

[5] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი.

საკუთარ მონაცემებზე ფიზიკური პირის ხელმისაწვდომობა მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია და წარმოადგენს ადამიანის არაერთი უფლების რეალიზაციის წინაპირობას.[6] წვდომის უფლება ასევე გულისხმობს მონაცემთა დამუშავების პროცესის დადასტურებასაც. აღნიშნული უფლების განხორციელების გზით, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია დაადგინოს, ამუშავებს თუ არა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მის მონაცემებს.

2. მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

- მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;
- მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;
- მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;
- მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;
- მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;
- მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;
- ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს აღნიშნული ინფორმაცია მიიღოს მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. აღნიშნული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება, გაგრძელდეს არაუმეტეს 10

[6] CJEU, C-434/16, Nowak [2017]; გაერთიანებული საქმეები C-141/12 და C-372/12, YS and Others [2014].

სამუშაო დღით, რის შესახებ მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.[7] მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს საჭიროებისამებრ მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გაცემა კანონს ეწინააღმდეგება. მაგალითად, გამოძიების ინტერესი და სხვა.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, თავად აირჩიოს მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების ფორმა. ამასთანავე, თუ მონაცემთა სუბიექტი სხვა ფორმით არ მოითხოვს ინფორმაციის გაზიარებას, მას ინფორმაცია მიეწოდება იმავე ფორმით, რომლითაც მოხდა ინფორმაციის მოთხოვნა.[8]

აღსანიშნავია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-15 მუხლი, რომლის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვოს დადასტურება იმისა, მუშავდება თუ არა მისი მონაცემები. ხოლო ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

- მონაცემთა დამუშავების მიზნები;
- დამუშავებულ მონაცემთა კატეგორიები;
- მონაცემთა მიმღების ვინაობა ან მიმღების კატეგორია, რომელსაც გადაეცა ან მომავალში გადაეცემა მონაცემები, განსაკუთრებით თუ მონაცემთა მიმღებებს წარმოადგენენ მესამე სახელმწიფოებში რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციები;
- მონაცემთა შენახვის ვადა ან თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმები;
- მონაცემთა სუბიექტის უფლების არსებობის შესახებ, რომ მას შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა, მოითხოვოს მათი გასწორება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა და ასევე, მონაცემთა გადატანა;
- საზედამხედველო ორგანოსთვის საჩივრით მიმართვის უფლების შესახებ;
- თუ მონაცემთა შეგროვება არ ხდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, ნებისმიერი ხელმისაწვდომი ინფორმაცია მათი შეგროვების წყაროს შესახებ;
- გადაწყვეტილების ავტომატიზებულად მიღების, პროფაილინგის და ამგვარ შემთხვევებში სულ მცირე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოყენებული

[7] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი.
[8] იქვე.

ლოგიკის/კრიტერიუმების, საჭიროების და მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგების შესახებ.

მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლების პრაქტიკულ შინაარსთან მიმართებით, საგულისხმოა ევროპის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა:

ბელგიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

"A" კომპანიის თანამშრომლებმა სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღეს წერილი "B" კომპანიის მიერ ორგანიზებული აუქციონის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შინაარსის არასასურველი სარეკლამო წერილები მათ პერიოდულად ეგზავნებოდათ. "A" კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" მე-15 მუხლის შესაბამისად, "B" კომპანიისგან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ როგორ მოიპოვა სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართები. ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" მე-12 მუხლი, რადგან კომპანიამ მონაცემთა სუბიექტს არ მიაწოდა მე-15 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია. შესაბამისად, ხელი შეუშალა მონაცემთა სუბიექტის უფლების განხორციელებას.[9]

ესპანეთის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

ესპანეთის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა, რომ მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მოპოვების მოთხოვნა უკავშირდებოდა მოგვიანებით მათი მტკიცებულების სახით წარდგენას, რომელიც დაეხმარებოდა მონაცემთა სუბიექტს სასამართლოში საკუთარი მოთხოვნის დასაბუთებაში (მონაცემთა სუბიექტს სურდა, სასამართლოსთვის მიემართა მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეული არასათანადო მომსახურების გამო, რისთვისაც მან მოითხოვა კონკრეტული შეკვეთის დროის და პირობების შესახებ კომპანიის ჩანაწერები). დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა არ განიხილა, რადგან მოთხოვნა „შესაბამის" ელექტრონულ ფოსტაზე არ იყო გაგზავნილი. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლების

[9] Decision of APD/GBA (Belgium) - 101/2024, <https://gdprhub.eu/index.php?title=APD/GBA_(Belgium)_-_101/2024> [27.07.2024].

ხელშესაწყობად დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არა მხოლოდ უნდა უზრუნველყოს კონკრეტული შემთხვევის დროული განხილვა (რეაგირება), არამედ დანერგოს იმგვარი მომსახურება, რომელიც ხელს შეუწყობს მსგავსი მოთხოვნების შიდა დონეზე გადამისამართებას და დროულ რეაგირებას.[10] მოცემულ შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს თავად უნდა გადაეგზავნა აღნიშნული მოთხოვნა შესაბამისი შიდა ორგანოსთვის.

ლიეტუვის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცემთა სუბიექტები აცხადებდნენ, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ გაითვალისწინა მათი მოთხოვნა მონაცემთა წაშლისა და მონაცემებზე წვდომის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის დასაბუთებით, მონაცემთა წაშლის შესახებ მონაცემთა სუბიექტების მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, რადგან მათ არ მიუთითეს მოთხოვნის „კონკრეტული საფუძველი", ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ შეასრულა მონაცემთა წაშლასთან დაკავშირებული მოთხოვნა. ამასთანავე, იგი იყენებდა „ფარული დაბლოკვის" პრაქტიკას, რაც გულისხმობს ელექტრონულ პლატფორმაში მომხმარებლის დაბლოკვას მისი ინფორმირების გარეშე.

საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია მონაცემთა დამუშავების სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპები. შესაბამისად, დაადგინა, რომ ანგარიშვალდებულების პრინციპის უზრუნველსაყოფად არ იქნა მიღებული სათანადო ტექნიკურ-ორგანიზაციული ზომები. ასევე, მან ვერ დაასაბუთა, რომ მონაცემთა სუბიექტებისათვის უზრუნველყოფილი იყო საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება.

საზედამხედველო ორგანომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, მე-12 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების დარღვევა დაადგინა, რისთვისაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დააკისრა ჯარიმა 2 385 276 ევროს ოდენობით.[11]

[10] Decision of DPA (Spain), <https://gdprhub.eu/index.php?title=AEPD_(Spain)_-_EXP202202415> [27.07.2024].

[11] GDPR Hub, VDAI (Lithuania) - Vinted UAB, <https://gdprhub.eu/index.php?title=VDAI_(Lithuania)_-_Vinted_UAB>, [12.07.2024].

პორტუგალიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

პორტუგალიის საზედამხედველო ორგანომ განიხილა საქმე, რომელიც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, მისთვის სატელეფონო ჩანაწერების გადაცემას შეეხებოდა. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, მართალია, მონაცემთა სუბიექტს აქვს მონაცემთა წვდომის შესახებ მოთხოვნის წარმოდგენის უფლება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მოთხოვნა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ყველა შემთხვევაში უნდა დააკმაყოფილოს. მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის კომპლექსურობიდან გამომდინარე, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა წვდომის უფლებისა და საკანონმდებლო მოთხოვნათა დაბალანსების მიზნით გამიჯნა ფაქტობრივი გარემოებები. აღსანიშნავია, რომ ეროვნული კანონმდებლობა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს არ ანიჭებდა უფლებამოსილებას, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე გაეცა სატელეფონო ჩანაწერების ამონაწერი.[12] საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, აღნიშნულ საქმეში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაიცვა ბალანსი მონაცემთა სუბიექტის კერძო და კანონმდებლის საჯარო ინტერესს შორის.

ხორვატიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მომხმარებლის უფლების დაცვის მიზნით მტკიცებულების მისაღებად, მონაცემთა სუბიექტმა მოითხოვა ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი იყო დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მისთვის მომსახურების მიღებაზე შეთანხმება და ამ მომსახურების გაწევის პროცესი. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უარი განაცხადა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შესრულებაზე და აღნიშნა, რომ მას მსგავსი მონაცემის გადაცემა ხელშეკრულებით არ ევალებოდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვიდეოჩანაწერში აღბეჭდილნი იყვნენ კომპანიის დასაქმებულები და სხვა კერძო პირები, რომელთა გამოსახულებისა და უფლებების დაცვის მიზნით, მას არ შეეძლო ვიდეოჩანაწერის გაზიარება. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, მომხმარებელი გააგრძელებდა თუ არა დავას სასამართლოში, მომხმარებლის უფლების დარღვევის ნაწილში, მისი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლება ხელყოფილი იქნა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-15 მუხლის მოთხოვნათა შეუსრულებლობით,

[12] Decision of DPA (Portugal), <https://gdprhub.eu/index.php?title=CNPD_(Portugal)_-_Delibera%C3%A7%C3%A3o_2019/21> [27.07.2024].

როდესაც მონაცემთა სუბიექტს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი მონაცემთა წვდომაზე.[13] აღნიშნულის საფუძველზე დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეკისრა ჯარიმა. გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებამ წარმოშვა რიგი კითხვები, თუ რამდენად გამართლებული იყო საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც მონაცემთა სუბიექტი, როგორც მომხმარებელი უკვე დავობდა სასამართლოში დარღვეული უფლების დასაცავად.

3. მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის:

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ დადგენილია გონივრული საფასური მონაცემთა შენახვის ფორმისგან განსხვავებული ფორმით მათი გაცემისთვის დახარჯული რესურსის ან/და მოთხოვნის სიხშირის გამო.[14]

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს აღნიშნულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი. საგულისხმოა, რომ კანონით გათვალისწინებული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.[15]

ამასთანავე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან. მონაცემთა სუბიექტს აგრეთვე უფლება აქვს, მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა ასლების მიწოდება განსხვავებული ფორმით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ

[13] Decision of DPA (Croatia), <https://gdprhub.eu/index.php?title=AZOP_(Croatia)_-_Decision_08-03-2022_(energy_company) > [27.07.2024].

[14] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი.

[15] იქვე, მე-2 პუნქტი.

დადგენილი გონივრული საფასურის სანაცვლოდ და იმ შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.[16]

ევროკომისიის მე-2 ანგარიში ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ ამოქმედების შემდგომ მიღწეული შედეგებისა და გამოწვევების შესახებ, განიხილავს პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უფლებას, როგორც მონაცემთა სუბიექტებისათვის ყველაზე აქტუალურს და ხშირად მოთხოვნადს. კერძოდ, ამ მიმართულებით კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის ზღვარგადასულად მიჩნევის საკითხი.[17] ანგარიშის თანახმად, გაზრდილია მონაცემთა პორტირების უფლებით სარგებლობა, ასევე, საზედამხედველო ორგანოებისთვის მონაცემთა სუბიექტების მიმართვიანობა, რაც ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ ამაღლებულია მონაცემთა სუბიექტების ცნობიერება პერსონალურ მონაცემების დაცვის საკითხებზე.[18] აღნიშნულია, რომ ბავშვები სრულად არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარი უფლებების შესახებ მონაცემთა დაცვის მიმართულებით.[19] მონაცემთა სუბიექტები ყველაზე ხშირად მიმართავენ დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების საკითხებზე. საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებით კვლავ პრობლემურია:

- განმარტებისას, თუ რა ითვლება გადაჭარბებულად დიდი მოცულობისა და რაოდენობის ინფორმაციაზე წვდომის მოთხოვნად;
- როდესაც მოთხოვნა არ შეეხება პერსონალურ მონაცემებს, არამედ მოთხოვნა ინფორმაციის შეგროვების მიზანს უკავშირდება სასამართლო პროცესზე წარსადგენად;
- მიღებული ინფორმაციის წაკითხვად ფორმატთან დაკავშირებით;
- ინფორმაციის სისრულესთან და ინფორმაციის დაყოვნებით მიღებასთან დაკავშირებით.

[16] EDPB, Guidelines 01/2022 on data subject rights - Right of access, Version 2.1, Adopted on 28/03/2023.
[17] Communication from the Commission to the European Parliament and the Council, Second Report on the application of the General Data Protection Regulation, Brussels, 25/7/2024, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM%3A2024%3A357%3AFIN> [20.12.2024].
[18] იქვე.
[19] იქვე.

იტალიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

მონაცემთა სუბიექტმა კომერციული ბანკისგან, სადაც მას პირადი ანგარიში ჰქონდა გახსნილი, მოითხოვა საკუთარ მონაცემებზე წვდომა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მე-13 მუხლის საფუძველზე, თუმცა მისი მოთხოვნის შინაარსი აგრეთვე, მოიცავდა ამ რეგულაციის მე-15 მუხლსაც (მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლება). დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა არ უპასუხა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას, ხოლო შემდგომში საზედამხედველო ორგანოს წარუდგინა დასაბუთება, რომ მონაცემთა სუბიექტს წინა კომუნიკაციისას უკვე მიწოდებული ჰქონდა მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უპასუხოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას მაშინაც, თუკი მსგავსი შინაარსის მოთხოვნაზე პასუხი უკვე მიეწოდა მონაცემთა სუბიექტს მისი წინა მოთხოვნის განხილვის ეტაპზე. აღნიშნულ შემთხვევაში, ძირითადი რეგულაციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნის დაკმაყოფილება არ გულისხმობდა, რომ აღნიშნული საკმარისი იქნებოდა ამავე რეგულაციის მე-15 მუხლის დასაკმაყოფილებლად. საზედამხედველო ორგანომ არ გაითვალისწინა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მტკიცება მასზედ, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის პასუხის გაცემას სჭირდებოდა განუსაზღვრელი დრო, რომლის შესახებაც მონაცემთა სუბიექტი საერთო არ ყოფილა ინფორმირებული. აღნიშნული მსჯელობა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საზედამხედველო ორგანომ ერთმანეთისგან პრაქტიკულად განასხვავა ძირითადი რეგულაციის მე-13 და მე-15 მუხლების შინაარსი.[20]

დანიის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

დანიის საზედამხედველო ორგანომ შეაფასა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები წაშლის ფაქტი მას შემდეგ, რაც მან მიიღო მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა აღნიშნულ მონაცემებზე წვდომის შესახებ. საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაუსაბუთებლად წაშალა აღნიშნული მონაცემები, რადგან მას არ შეუფასებია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა, მისი დაკმაყოფილების თვალსაზრისით და ხელი შეუშალა მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლების განხორციელებას. დამუშავებისთვის

[20] Decision of DPA (Italy), <https://gdprhub.eu/index.php?title=Garante_per_la_protezione_dei_dati_personali_(Italy)_-_9795404> [27.07.2024].

პასუხისმგებელი პირის მოქმედება არ გამომდინარეობდა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის საპასუხო მოქმედებიდან და მას ჰქონდა თვითნებური ხასიათი, რის გამოც იგი დაჯარიმდა.[21]

ფინეთის საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილება

ფინეთის საზედამხედველო ორგანომ დააჯარიმა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, რადგან საზედამხედველო ორგანოს მითითების მიუხედავად, მან არ განიხილა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნა. აღნიშნულ შემთხვევაში დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა დაარღვია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის განხილვის ვადები და მიუხედავად იმისა, რომ ვადის დარღვევით მან მაინც მიაწოდა ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს, საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, აღნიშნული არ ათავისუფლებდა მას, მისთვის გაცემული უშუალო მითითების შესრულებისთვის ვადის დაცვის პასუხისმგებლობისგან. შესაბამისად, საზედამხედველო ორგანოს მითითების გაუთვალისწინებლობა დათქმულ დროში, მიჩნეულ იქნა ძირითადი რეგულაციის დარღვევად, რის გამოც დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეკისრა ჯარიმა 8 300 ევროს ოდენობით.[22]

4. საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლების შეზღუდვა

საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლება არ უნდა შეიზღუდოს უკანონოდ ან დაუსაბუთებლად. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვებთან დაკავშირებით მოითხოვს შესაბამისი პირობებისა და სამართლებრივი დასაბუთების არსებობას, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადოდ უნდა იქნეს შეფასებული.

მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, ამით არ ირღვევა ადამიანის

[21] Decision of DPA (Denmark), <https://gdprhub.eu/index.php?title=Datatilsynet_-_JobTeam_indstillet_til_b%C3%B8de> [27.07.2024].
[22] Decision of DPA (Finland), <https://gdprhub.eu/index.php?title=Tietosuojavaltuutetun_toimisto_(Finland)_-_10587/161/21> [27.07.2024].

ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ეს არის აუცილებელი და პროპორციული ზომა დემოკრატიულ საზოგადოებაში და ამ უფლებების განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:

- სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;
- დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;
- ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;
- მონაცემთა სუბიექტის მიერ პროფესიული, მათ შორის, რეგულირებადი პროფესიის, ეთიკის ნორმების დარღვევის გამოვლენას და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- აღნიშნულ სფეროებში მარეგულირებელი ან/და ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას;
- მონაცემთა სუბიექტის ან/და სხვა პირების უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლებას;
- სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და კანონით გათვალისწინებული სხვა სახის საიდუმლოებების დაცვას;
- სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებას.

კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შეზღუდვის მიზნის მისაღწევად. რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვასა და განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მონაცემთა სუბიექტს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინფორმაციის მიწოდება საფრთხეს შეუქმნის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის (მიზნების) მიღწევას.[23]

[23] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნის არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მის შესრულებაზე, რის შესახებაც ვალდებულია, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მონაცემთა სუბიექტს და განუმარტოს გასაჩივრების უფლების შესახებ.[24] მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვისა და მის მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

5. მონაცემთა სუბიექტის უფლების დაცვის საშუალებები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან/და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს.[25] მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება განცხადების განხილვის დასრულების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.[26] მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით.[27]

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკის თანახმად,[28] ფიზიკური პირის მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფის პროცესში გამოიკვეთა მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის და ნაკლოვანი შესრულების შემდეგი ფაქტები:

- მონაცემთა სუბიექტებისთვის მათი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის მიუწოდებლობის ან არაგონივრულ ვადებში გადაცემის შემთხვევები. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტულ ვადას, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მხრიდან შესაძლებლობის არაკეთილსინდისიერად გამოყენებისა და

[24] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, ლუქსემბურგი, 2018, 331-332.
[25] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[26] იქვე, მე-2 პუნქტი.
[27] იქვე, მე-3 პუნქტი.
[28] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 34-35.

მონაცემთა სუბიექტის საკუთარ მონაცემებზე წვდომის უფლების შეზღუდვის საფუძველი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა ფიზიკურ პირს მოთხოვნილი დოკუმენტაცია მიაწოდონ იმ გონივრულ ვადაში, რომელიც, მოთხოვნილი მასალის ხასიათისა და მოცულობის გათვალისწინებით, საჭიროა დოკუმენტაციის მოსამზადებლად და მონაცემთა სუბიექტისთვის გადასაცემად;

- გამოიკვეთა ფიზიკური პირის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, კანონმდებლობით დადგენილი 10-დღიანი ვადის დარღვევით ინფორმირების ფაქტები. ცალკეულ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები მიუთითებდნენ იმ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებზე, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ფიზიკური პირისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადის ათვლასთან დაკავშირებით, აღნიშნული ვადა კი აღემატებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილ მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვადას. გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეაფასონ განცხადების/მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შინაარსი და ფიზიკური პირის მიერ მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, იხელმძღვანელონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ინფორმირების 10-დღიანი ვადით, რომელიც წარმოადგენს, მათ შორის, დიდი მოცულობის მონაცემების შეგროვებისა და მონაცემთა სუბიექტისთვის გადაცემის გონივრულ და ობიექტურ დროს. გარდა ამისა, ვადის დასაცავად მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ დასაქმებულ პირებზე უფლებამოსილებების იმგვარი დელეგირება, რომ ადამიანური რესურსის ნაკლებობა არ გახდეს მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის 10-დღიანი ვადის დარღვევით მიწოდების საფუძველი. მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა დანერგონ ისეთი პროცესი, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზების ქმედით შესაძლებლობას;
- გამოვლინდა მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების გარეშე მისი უფლების შეზღუდვის შემთხვევები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვის რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მისი უფლების შეზღუდვის საფუძვლის შესახებ იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს თავად შეზღუდვის ინტერესს;

- მონაცემთა სუბიექტის მიერ მისი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის გადაცემის მოთხოვნაზე, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები უარს აცხადებდნენ იმ საფუძვლით, რომ ფიზიკური პირისთვის უკვე მიწოდებული ჰქონდათ მოთხოვნილი დოკუმენტაცია. გასათვალისწინებელია, რომ მონაცემთა სუბიექტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გარანტირებული უფლების განხორციელების მიზნით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა შეაფასონ დოკუმენტაციის ბოლო მიწოდების დრო, მიწოდებიდან ხელმეორედ მოთხოვნის პერიოდში შეცვლილი გარემოებები და სწორედ აღნიშნულის შემდგომ მიიღონ სათანადო გადაწყვეტილება;
- გამოვლინდა ფიზიკური პირისგან მონაცემების შეგროვებისას მისთვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევები. კანონი მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს იმპერატიულად უწესებს ვალდებულებას, უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან ინფორმაციის მოპოვების პროცესში, მათ შორის, ვებგვერდზე რეგისტრაციისას, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია. ეს ვალდებულება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა პროაქტიულად უნდა შეასრულონ, მიუხედავად იმისა, მონაცემთა სუბიექტი გამოავლენს თუ არა ინტერესს ამ ინფორმაციის მიმართ. ამასთან, კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების სტანდარტიდან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარი უფლებების ეფექტიანი დაცვისთვის, რამდენადაც, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს საკუთარი მონაცემების მიწოდების/გაცემის საჭიროება და ასევე, მოიპოვოს ინფორმაცია მომავალში საკუთარი უფლებების დაცვის გზების შესახებ.[29]

[29] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 34-35.

6. ზოგადი რეკომენდაციები

მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების უზრუნველსაყოფად:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეიმუშაოს მონაცემთა სუბიექტის მიერ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების ფარგლებში წარდგენილ მოთხოვნებზე საპასუხო წესი, რომელსაც დანერგავს შიდა უწყებრივი მიზნებისთვის;
- აღნიშნული უფლების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა შეიმუშავოს მიმართვის გამარტივებული ფორმა, კერძოდ, როგორ უნდა დაუკავშირდეს მონაცემთა სუბიექტი უფლების განსახორციელებლად;
- მონაცემთა ეფექტიანი მართვის მიზნით, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა განაახლოს მომსახურების ელექტრონული სისტემა, რათა სწრაფად განსაზღვროს დამუშავებული მონაცემები, მოიძიოს და შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადასცეს ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს მონაცემთა სუბიექტი;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა ნათლად, გასაგებად და შესაბამისი ფორმით უნდა აცნობოს ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს დამუშავებული პერსონალური მონაცემების შესახებ;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნას კანონით დადგენილ ვადაში უნდა უპასუხოს. თუ საჭიროა დამატებითი დრო პასუხისთვის ან თუ ვერ ასრულებს მოთხოვნას, ამის შესახებ აცნობოს ასევე კანონით დადგენილ ვადაში;
- მონაცემთა სხვა პირებზე გადაცემის მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა აცნობოს მონაცემთა სუბიექტს აღნიშნული მოთხოვნის შესახებ და საჭიროებისამებრ, დაელოდოს პასუხს;
- დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა აღრიცხოს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნები და მიღებული თუ გაგზავნილი შეტყობინებები, მოთხოვნის შესრულებაზე გაცემული უარის რაოდენობა და შესაბამისი დასაბუთება;
- მონაცემთა სუბიექტს უსაფუძვლოდ არ უნდა ეთქვას უარი მისი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის გადაცემის მოთხოვნაზე, იმ საფუძვლით, რომ მისთვის უკვე მიწოდებული ჰქონდათ მოთხოვნილი დოკუმენტაცია;
- მონაცემთა სუბიექტის უფლებები არ უნდა შეიზღუდოს მისი ინფორმირების გარეშე.

ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge